საიდ. №72887/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №86-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ”-ს (GENERAL MOTORS LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №86-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №427/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET TRAX” (საიდ. №72887/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-12 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №427/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "CHEVROLET TRAX" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „სიგნალ ვენტურეს, ინკ" (Signal Ventures, Inc.) სახელზე (მისამართი: 1128 irk Road, Rainsville, Alabama 35986-6028) მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა: „FLEX-TRAX" (საერთაშორისო რეგისტრაციის №842218, რეგისტრაციის თარიღი: 2004-12-08). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, სახეზეა, როგორც ბგერითი, ასევე ჟღერადობრივად მსგავსება, რაც ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ქმნის მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება, როგორც გრაფიკულად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. გრაფიკული თვალსაზრისით, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან ნაწარმოებ ნიშანს, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი დეფისით გაერთიანებული ორი აღნიშვნაა, შესაბამისად, ნიშნების ვიზუალური განსხვავება მკვეთრად თვალშისაცემია. ნიშნებს შორის განსხვავებას კიდევ უფრი აძლიერებს ის გარემოება, რომ დაპირისპირებული ნიშნების საწყისი ნაწილები განსხვავებულია - თუ განცხადებულ ნიშანს მომხმარებელი აღიქვამს, როგორც „CHEVROLET TRAX", დაპირისპირებული ნიშნის წინა ნაწილი წარმოადგენს სიტყვას "FLEX", ხოლო,

როგორც ცნობილია, სიტყვიერი ნიშნების შემთხვევაში მომხმარებელი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს სიტყვის ან ფრაზის საწყის ნაწილს, განსაკუთრებით, როდესაც მოცემულ შემთხვევაში ამ სიტყვას "CHEVROLET" წარმოადგენს, მომხმარებლისათვის კარგად ნაცნობი ავტომობილის მარკა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმება როგორც „შევროლე ტრექს", მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორს „ფლექს ტრექს", შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობა აბსოლუტურად განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. დაპირისპირებული ნიშნები, ასევე განსხვავეულია სემანტიკურად. განცხადებულ ნიშანს „CHEVROLET TRAX" არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშნის პირველ სიტყვიერ ნაწილს „FLEX" აქვს მნიშვნელობა „მოქნილი, პლასტიკური", რაც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ამ კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის თვისების მახასიათებელი, ან მინიშნება იმაზე, რომ ეს საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა (მოქნილი) დანიშნულებით. ასეთი შინაარსობრივი განსხვავებაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე ნიშნები სრულიად განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. აპელანტის მითითებით, სრულიად გაუგებარია, რა მოსაზრებით იხელმძღვანელა ექსპერტიზამ, როდესაც ძირითადი ყურადღება გაამახვილა და უარის მიზეზად მიიჩნია დაპირისპირებულ ნიშნებში მეორე პოზიციაზე განთავსებული აღნიშვნა „TRAX" და სრულიად უგულვებელყო განცხადებული ნიშნის პირველ აღნიშვნასა "CHEVROLET" და დაპირისპირებული ნიშნის წინა ნაწილს "FLEX" შორის არსებული აბსოლუტური განსხვავება, მით უმეტეს, რომ ავტომობილის მარკა „CHEVROLET" წარმოადგენს კომპანიის

„ჯენერალ მოტორს ლლკ” ერთ-ერთ პოპულარულ მარკას. თუ მოხდება გათვალისწინება იმისა, რომ აღნიშნული ნიშნით ნიშანდებული ავტომობილი საკმაოდ ძვირი ღირებულებისაა, აღნიშნული განაპირობებს მომხმარებლის განსაკუთრებულ ყურადღებას საქონლის შეძენისას, რაც გამორიცხავს ამ ორი ნიშნის აღრევამდე მსგავსებას და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის განმარტებით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET TRAX მფლობელი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ” საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-12 კლასის საქონლიდან, ძირითადად, აწარმოებს სატრანსპორტო საშუალებებს, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშნის “FLEX-TRAX” მფლობელი კომპანია „სიგნალ ვენჩერს, ინკ.” ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის თანახმად წარმოადგენს პენოპლასტის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებული აქვს სრულიად განსხვავებული საქონლის ჩამონათალისათის: „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები, კერძოდ, თოვლიანი, ქვიშიანი, ტალახიანი და ჭყაპიანი გზის ზედაპირთან შეჭიდების გამაძლიერებელი, რომელიც დამაგრებულია საბურავზე ჯვარედინი დამაგრძელებლით” - რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. მით უმეტეს, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა ქონდეს განცხადებული ნიშნის მფლობელ მსოფლიოში ცნობილ კომპანიას „ჯენერალ მოტორს ლლკ”, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს მსოფლიო ბაზარზე ავტომობილების წარმოებაში, განზრახვა, რომ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ” ასევე, თანახმაა საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „მოტორიანი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, სახელდობრ, ავტომობილები, მაღალი განვლადობის ავტომობილები, საბარგო ავტომობილები და ფურგონები, გარდა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისა, კერძოდ, თოვლიანი, ქვიშიანი, ტალახიანი და ჭყაპიანი გზის ზედაპირთან შეჭიდების

გამაძლიერებლებისა, რომელიც დამაგრებულია საბურავზე ჯვარედინი დამაგრძელებლით". აპელანტის პოზიციით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას ექსპერტიზის მიდგომა დიამეტრალურად განსხვავებულია, რის მაგალითისაც წარმოადგენს ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნებზე „ATS Leichtmetallräder" (IR 1044020) და „ATS Leichtmetallräder" (IR 1043658), რომლებიც არ მიიჩნია მსგავსად კომპანიის „ჯენერალ მოტორს ლლკ" კუთვნილი ნიშნისა „CADILLAC ATS", ჩათვალა რა ნიშნის ძირითად ნაწილად სიტყვა „CADILLAC". საყურადღებოა, რომ ეს გადაწყვეტილება გაიზიარა სააპელაციო პალატის კოლეგიამაც და ექსპერტიზის მოსაზრება, რომ ეს ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსები საფუძვლად დაუდო გადაწყვეტილებას ნიშნების რეგისტრაციის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №427/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET TRAX" (საიდ. №72887/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CHEVROLET TRAX" (საიდ. №72887/03) და

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „FLEX-TRAX“ არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება როგორც ფონეტიკური, ასევე ვიზუალური და სემანტიკური თვალსაზრისით.

ნიშნები განსხვავდება ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ისევე, როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენენ სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს. როგორც განცხადებული, ისე დაპირიპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ორსიტყვიან სასაქონლო ნიშანს, რომელთაც აქვთ განსხვავებული პირველი სიტყვა, კერძოდ „CHEVROLET” – „FLEX”. ორსიტყვიანი სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში, ნიშნების ვიზუალური აღქმისას, მომხმარებლი პირველ რიგში აღიქვამს და იმახსოვრებს ნიშნის საწყისს სიტყვას, რაც მოცემულ შემთხვევაში იმდენად განსხვავებულია, რომ არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთან, ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „შევროლე-ტრექს”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი როგორც, „ფლექს-ტრექს”. ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა „FLEX” ქართულად ნიშნავს „მოქნილს”, ხოლო განცხადებული ნიშნის ორივე სიტყვა ფანტაზიურია და არ აქვს არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა. მთლიანობაში, ნიშნები საერთო შთაბეჭდილებით არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET TRAX” (საიდ. №72887/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯენერალ მოტორს ლლკ” (GENERAL MOTORS LLC) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №427/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „CHEVROLET TRAX” (საიდ. №72887/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	ლ. კერესელიძე